ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4822080129**
თარიღი: **21/03/2022**
პინი: **0945**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის №30 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

გთხოვთ, განიხილოთ.

დანართი ,,4" ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ.წყალტუბო ---- მარტი, 2022 წელი

,, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

,, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილებაში (სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.122.016373; 01/11/2016) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება:

1.დადგენილებით დამტკიცებული დანართ N1-ს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე- 7 მუხლი:

,, მუხლი 7.

1. ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი N2-ით და დანართი N3-ით განსაზღვრული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობისაგან განსხვავებული დაფინანსების მერიის წილის 85 %-ზე მეტი ან სრულად დაფინანსების შემთხვევაში განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილებას მიიღებს კომისია.

2. კომისია იქმნება და მისი შემადგენლობა განისაზღვრება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

3. კომისიას თავმჯდომარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ განსაზღვრული მერიის თანამდებობის პირი, ხოლო კომისიის წევრთა შემადგენლობაში შედიან: მერის პირველი მოადგილე და/ან მოადგილე და/ან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) და/ან მეორე რანგის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები),მესამე რანგის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის უფროსი სპეციალისტი (სპეციალისტები), მეოთხე რანგის

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის უმცროსი სპეციალისტი (სპეციალისტები), თანაშემწე (თანაშემწეები).

4. კომისიას ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი, რომელიც განისაზღვრება მერის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით).

5. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე."

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოამზადა: მ. მამისეიშვილი

შეთანხმებულია: გ. ყურაშვილი

მ. ჩხეიძე

განმარტებითი ბარათი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე ,, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილების პროექტში დამატების შეტანა განპირობებულია ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსების ხელშეწყობის მიზნით, რათა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, განათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა; მრავალბინიანი სახოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალკანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენა, პარაპეტებებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია.

აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მოწყობის თანადაფინანსების პროგრამა და განსაზღვრულია პროცენტული ოდენობა - მერიის წილი - 85%, ხოლო ამხანაგობის წილი - 15%.

დღეის მდგომარეობით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობენ ისეთი საცხოვრებელი სახლები რომელთა სახურავიც ან სადარბაზო არის ძალიან დაზიანებული და საჭიროებს სასწრაფოდ შეკეთებას, ხოლო იქ მცხოვრები უმეტესი მოსახლეობისა არის სოციალურად დაუცველი, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ან სხვადასხვა გარემოებების გამო ვერ ახერხებს 15% შეგროვებას. აქედან გამომდინარე მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მსგავსი საკითხების შესწავლის მიზნით შექმნას კომისია, რომელიც განიხილავს განსაკუთრებულ შემთხვევებს და საკითხის სრულყოფილად შესწავლის შემდეგ კონკრეტულ შენთხვევაში გაზრდის მერის დაფინანსების პროცენტულ ოდენობას ან სრულად 100% -ით დააფინანსებს.

ადრესატი:

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

მირანდა მამისეიშვილი
ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური-იურიდიულ საკითხთა განყოფილება-განყოფილების უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

წერილის ნომერი:**03-482208093**
თარიღი: **21/03/2022**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ გენადი ბალანჩივაძეს
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მალხაზ ჩხეიძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

როგორც მოგეხსენებათ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილების შესაბამისად ვახორციელებთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაციას; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობას; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტს, განათების, პანდუსების მოწყობას, ლიფტების რეაბილიტაციას და ზოგადად საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.
დღეის მდგომარეობით, პანდემიიდან გამომდინარე მოსახლეობის ნაწილს ძალიან უჭირს თანადაფინანსების თანხის შეგროვება, ასევე მოიმატა მომართვიანობის შემთხვევებმაც.
ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ დადგენილებაში შეტანილ იქნას ცვლილება და გამონაკლის შემთხვევებში, მოგვეცეს განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

პატივისცემით,

მალხაზ ჩხეიძე

სივრცითი მოწყობის, ინფასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური-სამსახურის უფროსი